<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 575) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26-ე და 27-ე პუნქტები:

„26. M^1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება - არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

27. მინივენი - M^1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის დასაჯდომი ადგილების რაოდენობა (მძღოლის ადგილის გარდა) აღემატება 5 ადგილს.“.

2. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ორგანიზებასა და მართვას ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ორგანიზებასა და მართვას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, ხოლო საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ორგანიზებასა და მართვას – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.“.

3. 5^1 მუხლის:

ა) პირველ პუნქტის „ა^1“ პქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი რედაქციის „ა^2“ ქვეპუნქტი:

„ა^2) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა საქართველოს დედაქალაქისა) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანა;“;

ბ) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა საქართველოს დედაქალაქისა) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვისა.“.

4. **5^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7-მე-9 პუნქტები:**

„7. მუნიციპალიტეტები (გარდა საქართველოს დედაქალაქისა) უზრუნველყოფენ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელთა შესახებ მონაცემების ერთიან საინფორმაციო ბაზაში ასახვას.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლებისა და დამუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

9. დაუშვებელია რეგულარული სამგზავრო გადაყვანა იმ მინივენის მიერ, რომლითაც ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „$ა^1$“ ან „$ა^2$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა. მინივენით, რომლითაც ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „$ა^1$“ ან „$ა^2$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა, შესაძლოა განხორციელდეს არარეგულარული სამგზავრო გადაყვანა საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

5. 5^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 პუნქტი:

„2^2. ამ კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „$ა^2$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე ნებართვას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა საქართველოს დედაქალაქისა) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემა რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

6. 5^6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„$ა^2$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებზე ნებართვები გაიცემა არანაკლებ 1 წლის ვადით. სამივე შემთხვევაში ამ ნებართვების მოქმედების ვადებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.“.

მუხლი 2.

1. 2025 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება.

2. 2025 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ 2010 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 5^1 მუხლის მე-7 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 5^1 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**